„აუტიზმის მახასიათებლები და სოციალური კოგნიციები ჯანმრთელ პირებში“

თამარ გვალია

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი

ხელმძღვანელი: სოციალური ნეირომეცნიერების პროფესორი

სიმონ სურგულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

1. საწყისი გვერდები

1.1. თავფურცელი …….....1

1.2. სარჩევი……..2

1.3. აბსტრაქტი ……....3

2. ძირითადი ნაწილი

2.1. შესავალი ……5

2.2. აუტიზმის გამომწვევი მიზეზები……..……..7

2.3. სოციალური კოგნიცია……..……..8

2.4. სოციალური კოგნიციები აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ინდივიდებთან 12

2.5. კვლევის მეთოდები ……... 16

2.6. კვლევის დიზაინი და ინსტრუმენტი…….….. 18

2.7. შედეგები……...…..20

2.8. შედეგების განხილვა ……21

2.9. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა……25

3. ბოლო გვერდები

3.1 დანართი ……..26

3.2 გამოყენებული ლიტერატურა…….… 32

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ჯანმრთელ პოპულაციაში აუტიზმის მახასიათებლების და სოციალური კოგნიციების მაჩვენებლის შესწავლას. ნაშრომში წარმოდგენილია სოციალური და აფექტური ნეირომეცნიერების ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევის შედეგები და მათი ანალიზი. პროექტზე მუშაობა 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ სოციალურ–კოგნიტური ნიშნების გამოვლენა, რომლებიც დაკავშირებულია აუტისტურ ხასიათობრივ თვისებებთან და იმის გარკვევა თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს თვისებები სოციალურ ურთიერთობებზე. ცნობილია, რომ აუტიზმი დაკავშირებულია ემოციური პროცესების და ემპათიის პათოლოგიასთან.

კვლევის საწყის ეტაპზე, გამოვრიცხეთ ფსიქიკური დაავადებები, ნარკომანია და გონებრივი ჩამორჩენილობა, ვინაიდან ცდისპირებს წარმოადგენდნენ ფსიქიკურად ჯანმრთელი პირები. გამოვიყენეთ კითხვარები და 2 ექსპერიმენტი და მიღებული შედეგები შევადარეთ ერთმანეთს.

გამოვყავით ორი ქვეჯგუფი: აუტიზმის მაღალმაჩვენებლიანი ქვეჯგუფი და აუტიზმის დაბალმაჩვენებლიანი ქვეჯგუფი და შევადარეთ ისინი Baron-Cohen-ის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს, რის შედეგადაც მივედით დასკვნამდე, რომ ჩვენს კვლევაში არსებული სეგმენტაცია რელევანტურია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა აუტიზმის მაღალი მაჩვენებელის სარწმუნო კორელაცია სტრესზე რეაგირების დეზადაპტაციურ ტიპთან. გამოვლინდა, ასევე, ტენდენციები, ერთის მხრივ, აუტიზმის მაღალი მაჩვენებლის კორელაციისა შფოთვის და პარანოიის მაღალ მაჩვენებლებთან, ხოლო მეორეს მხრივ, აუტიზმის მაჩვენებლის ნეგატიური კორელაციისა ემპათიის მაჩვენებელთან.

აღნიშნული შედეგები მიგვანიშნებს რომ აუტისტური თვისებების არსებობა ჯანმრთელ პირებში შესაძლოა ფსიქოლოგიური დეზადაპტაციის მიზეზი გახდეს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აუტიზმი, სტრესზე რეაგრების ტიპები, შფოთვა, პარანოია, ემპათია.